მამუკა მდინარაძე

შეჯიბრებითობა ქართულ სამართალწარმოებაში და თანმდევი გამოწვევები

მამუკა მდინარაძე
სტუ-ს დოქტორანტი

შეჯიბრებითობა - ეს არის ერთ-ერთი მთავარი, ახალი და ფუნდამენტური ნაწილი საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა. ამ კოდექსის ამოქმედებამდე ბრალდებისა და დაცვის მხარეებს ფუნქციები სხვაგვარად ჰქონდათ განაწილებული. მტკიცებულებების მოპოვების ფუნქცია პრაქტიკულად მთლიანად ბრალდების მხარეს იყო გადასული, დაცვის მხარე კი მტკიცებულების მოსაპოვებლად ისევ ბრალდების მხარეს ან სასამართლოს მიმართავდა შუამდგომლობით.

ხსენებული პრაქტიკა იმდენად გამჯდარია ქართველ პრაქტიკოს- იურისტებში, რომ სასამართლოებში დღესაც ძალიან ხშირად შეხვდებით საქმეებს, სადაც დაცვის მხარეს არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ასეთ შემთხვევებში დაცვა გვევლინება თავდასხმის მომგერიებლის პოზაში და მას იერიშზე გადასვლა მხოლოდ არგუმენტებით და ბრალდების მტკიცებულების არადამაჯერებლობაზე ან უკანონობაზე აპელირებით თუ შეუძლია. იგი ამ დროს მოკლებულია შესაძლებლობას, შეჯიბრში ჩართოს თავისი მტკიცებულებები, რაც ბუნებრივია იმთავითვე წამგებიან მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს წარედგინება როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, შესაძლებელია ისინი მართლაც აღმოჩნდნენ თანაბარ მდგომარეობაში. აღნიშნული თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კანონიერად და კვალიფიციურად, ასევე რა რაოდენობის და დამაჯერებლობის ხარისხის მტკიცებულებები მოიპოვეს მხარეებმა.

ამ უფლების რეალიზაციისათვის, საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა ბრალდებულის უფლება „დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება. კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად".[1]

ასეთი მიდგომა არა მხოლოდ ქართული სამართალწარმოებისათვის არის დამახასიათებელი, არამედ საერთაშორისო პრაქტიკაც გვიჩვენებს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი და დაცვის მხარის უფლება, დამოუკიდებლად ჩაატაროს გამოძიება, აღიარებულია და იგი სამართალწარმოების თანამედროვე სტილს წარმოადგენს.

„დაცვის უფლება ბრალდებულს აძლევს საშუალებას აქტიური ფუნქცია შეასრულოს სამართალწარმოებაში, იყოს სუბიექტის და არა ობიექტის როლში. ბრალდებულის უფლება, დაიცვას თავი პირადად ან დამცველის დახმარებით, უზრუნველყოფს მას შესაძლებლობით გავლენა მოახდინოს სამართალწარმოების განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით ის ასევე ბრალდებულის პირადი ღირსების გამოხატულებაა. გრეინჯერის (Granger) საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა „უპირველესად ემსახურება მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის ინტერესებს, რადგანაც საშუალებას აძლევს განმცხადებელს, არსებითი წვლილი შეიტანოს სამართალწარმოების პროცესში".[2]

ტერმინი „სისხლის სამართლის პროცესი" მოიცავს სახელმწიფო ორგანოთა ქმედებებს, დაწყებული პოლიციით და დამთავრებული საკონსტიტუციოსასამართლოთი, რომელთა ამოსავალი წერტილია დანაშაულის ჩადენის ეჭვის არსებობა. ეს ქმედებები სხვადასხვა ეტაპზე ხორციელდება მაგალითად: მოკვლევა, გამოძიება, ბრალდება, განაჩენი ან გასაჩივრება. სისხლის სამართლის პროცესის არსი კარგად არის განსაზღვრული, თუმცა არსებობს მისი იმპლემენტაციის უამრავი გზა და საშუალება, მათ

[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 38, მე-7 ნაწილი. მოქმედი რედაქცია.

[2] შტეფან ტრექსელი. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

შორის სახელმწიფო ორგანოთა მოწყობა და სხვადასხვა უწყებებს შორის ფუნქციების განაწილება, სასამართლო განხილვის ორგანიზაცია და გასაჩივრების მრავალი კუმულატიური ან ალტერნატიული შესაძლებლობა. ხშირად ამბობენ, რომ არსებობს სისხლის სამართლის პროცესის ორი მოდელი. პირველი ანგლო-საქსური, რომელიც გულისხმობს ორი მხარისა და ნეიტრალური არბიტრის სახით მოსამართლის არსებობას. მეორე - კონტინენტური სისტემა, რომელიც მოწყობილია ინკვიზიციური პროცესის საფუძველზე და რომლის მოსამართლე უფრო აქტიურ ერთგვარ პატერნალისტურ ფუნქციას ასრულებს. თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალი უფრო ორი მოდელის დაახლოების მიმართულებით ვითარდება, სადაც შეჯიბრებითობის პრინციპი წამყვან როლს თამაშობს. ახლად შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის მსოფლიო მასშტაბით მისაღებ მოდელზე კომპრომისის მიღწევის მცდელობის შედეგი".[3]

გამართული სამართალწარმოება, რა დროსაც აშკარაა, რომ არც ერთ მხარეს არ გააჩნია უპირატესობა ტექნიკური თუ კანონისმიერი თვალსაზრისით, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი უფლებამოსილია თანაბარ პირობებში აწარმოოს გამოძიება. სწორედ ამაზე საუბრობს პროფესორი ი. აქუბარდია თავის ნაშრომში „დამცველის პროცესუალური მდგომარეობა": „დამცველი, რომელიც მხოლოდ უპირისპირდება სახელმწიფოს უბრალოდ არ არსებობს. დამცველის საქმიანობის სოციალური გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ისსაზოგადოებრი-ვადინტეგრირებულია, იურიდიულ დახმარებას უწევსბრალდებულს და ამით ხელს უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ფუნქციონალურდ ძლიერი სისხლის სამართალწარმოება შესაძლებელიამხოლოდ მაშინ, როცა დამცველი აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით.

დამცველის სამართლებრივი მდგომარეობა, მისი მიზანი გამოიხატება ჭეშმარიტების ძიების გარანტების გაძლიერებაში. სისხლის სამართლის პროცესში თანაბარად უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა, ასევე არაბრალეულთა, ეჭვმიტანილთა დაცვა".[4]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის სიახლე არ უნდა გახდეს არც იმის საბაბი, რომ უპირატესობა ვინმემ დაცვის მხარეს მიანიჭოს. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ორივე მხარის თანაბარი შესაძლებობა მტკიცებულებათა მოპოვებისა.

„სისხლის სამართლის პროცესი არის სფერო, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება საზოგადოებისა და ეჭვმიტანილი ინდივიდის სასოცოცხლო ინტერესები. რისკის ქვეშ დგება ადამიანის რეპუტაცია, ფინანსური მდგომარეობა, პირადი თავისუფლება და თვით სიცოცხლე. (არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს, არამედ იქ სადაც უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება სასჯელად). საზოგადოებას მეორე მხრივ გააჩნია მნიშვნელოვანი ინტერესი წესრიგის, მშვიდობიანი თანაცხოვრების, ეროვნული უშიშროების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და პოტენციურ მსხვერპლთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ. ვითარება შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, როდესაც მსხვერპლი ითხოვს სამართალწარმოებაში მონაწილეობას.

აღნიშნული ინტერესების დაბალანსების პრობლემის გადაჭრისას ბევრი რამ დამოკიდებულია იმ სურათზე, რომელიც ამოსავალი წერტილის სახით გვაქვს წარმოდგენილი. მაგალითად ეს შეიძლება იყოსგულქვა კრიმინალების, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების სურათი, რომლებიც ყველაფერზე არიან წამსვლელნი, მათ შორის მოწმეთა მკვლელობაზე მსჯავრდების თავიდან აცილების მიზნით, ან შეიძლება იყოს დამით ბარიდან სახლში მიმავალი პირის სურათი, რომელიც ქუჩაში მწოლიარე ადამიანის ახლოს გაივლის, ხელს შეახებს მას და იგრძნობს სისხლს, მიხვდება, რომ სისხლის გუბეში შეაბიჯა, პანიკაში ჩავარდება და გაიქცევა სახლში, თუნცა გამვლელები შეამჩნევენ და იცნობენ, რაც მას დანაშაულში ეჭვმიტანილად აქცევს. დაბალანსების პროცესი ორივე შემთხვევაში უნდა დასრულდეს სასარგებლო შედეგით".[5]

მსჯელობის საგანია, რამდენად ეფექტურად მოქმედებს სადღეისოდ საქართველოში ერთიანი სისტემა შეჯიბრებითობისა, არის თუ არა სათანადო პირობები შექმნილი საიმისოდ, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეები იმყოფებოდნენ თანაბარ მდგომარეობაში.

იდეალურ შემთხვევაშიც კი, პრაქტიკული თვალსაზრისით, ასეთი რამ შეუძლებლად მიმაჩნია. ამის საფუძველს ბრალდების მხარის მტკიცებულებებზე მომუშავე ერთიანი სისტემის და დაცვის მხარის მტკიცებულებებზე მო-

[3] შტეფან ტრექსელი. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

[4] ი. აქუბარდია. დამცველის პროცესუალური მდგომარეობა.

[5] შტეფან ტრექსელი. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

მუშავე ადვოკატის ან თუნდაც ადვოკატთა ჯგუფის შედარება გვაძლევს. პირველი რგოლი, ბრალდების მხრიდან, რომელიც მტკიცებულებათა მოგროვების პროცესში იღებს მონაწილეობას, არის სხვადასხვა სამართალდამცავი უწყებების ოპერატიული სამსახურები. პირობითად მეორე ჯგუფი - საგამოძიებო სამსახურები, მესამე კი - პროკურატურის ორგანოები.

მეორე მხარეს გვევლინება ერთი ადვოკატი ან საუკეთესო შემთხვევაში ადვოკატთა არაორგანიზებული ჯგუფი, რომელთა შორის ფუნქციები სპონტანურად არის განაწილებული. ბრალდების ერთიანი სისტემა, რომელიც სახელმწიფო რესურსით არის უზრუნველყოფილი, ფუნქციონალური თანმიმდევრობით ახერხებს: 1) მოიპოვოს ინფორმაცია- რასაც ახორციელებენ ოპერატიული სამასახურები; 2) მოახდინონ მიღებული ინფორმაციის საპროცესო დამაგრება, ანუ შექმნან მტკიცებულება - ამ ფუნქციას ახორციელებენ სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები, დეტექტივები, დეტექტივის თანაშემწეები და ა.შ.; 3) წარადგინოს გამოძიების მიერ მოპოვებული, შექმნილი მტკიცებულებები სასამართლოს წინაშე, აგრეთვე განახორციელოს გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობა - ეს ფუნქცია საქართველოს პროკურატურის პროკურორების მიერ ხორციელდება.

ვფიქრობ შეუძლებელია, რომ ხსენებულ სისტემას, დაცვის მხარე, ერთი ან თუნდაც რამდენიმე ადვოკატის პირობებში, იმგვარად დაუპირისპირდეს, რომ მან შეძლოს ბრალდების მხარის თანაბარი წონისა და რაოდენობის მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა. გამოსავლის ძიება ამ სიტუაციიდან თანამედროვე სამართალწარმოებაში, ადვოკატის მიერ დაცვის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უდიდესი გამოწვევა გახლავთ, რადგან გარემოება მოითხოვს ისეთი ხერხის თუ საშუალების შექმნას, რომელიც ზემოთხსენებულ დისბალანსს გამორიცხავს და მხარეებს შეძლებისდაგვარად თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 38, მე-7 ნაწილი. მოქმედი რედაქცია. თბ., 2013.

2 შტეფან ტრექსელი. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2009.

3 ი. აქუბარდია. დამცველის პროცესუალური მდგომარეობა. თბ., 2011.

COMPETITION IN GEORGIAN LAW AND ITS PROVOKES

MAMUKA MDINARADZE
PhD of GTU

In this article we will discuss the principle of competition, which can be found as one of the basic parts and achievements of new Georgian Criminal Procedure Code. If according to previous code, it was only prosecutor's right to get proof and deliver it to the court, with new Procedure Code the accused party is also able to get them on his own or with the help of attorney. It has to be mentioned that understanding of the principle of competition has to be exact and it is not supposed to be understood as the advantage of defense party. It has to be guaranteed that both parties are equal while getting proof. Above mentioned topics and followed processes are discussed in the article.